ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49.49222101**
თარიღი:**29/07/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 89

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი და მეორე კვარტლის

სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი და მეორე კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (თან ერთვის).
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი და მეორე კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 29 ივლისის № 89 განკარგულების
დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის I - II კვარტლის ბიუჯეტის

სარეზერვო ფონდის ანგარიში

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა წლის დასაწყისისათვის განისაზღვრა 140,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით. 2022 წლის I - II კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის გეგმა განსაზღვრული იქნა 55,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 16,1 ათასი ლარი.

წარმოგიდგენთ ხარჯის ჩამონათვალს:

№	თარიღი	ბრძან. №	ბრძანების საგანი	გამოყოფილი თანხა
1	31.03.2022	48.48220907	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კონსტანტინე ქორქაშვილისათვის თანხის გამოყოფა	3700
2	18.04.2022	48.482210831	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დასახლებაში მდებარე №1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთებისათვის თანხის გამოყოფა	3399,81
3	24.05.2022	48.482214429	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სოფელ მუხიანში ბროწეულას დასახლებაში დაზიანებული საკანალიზაციო გადამქაჩი სადგურის	6500

			ტუმბო-აგრეგატის შეძენისათვის თანხის გამოყოფა	
4	06.06.2022	48.48221571	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან შშმ პირთა სათემო ორგანიზაცია ,,ჩვენი დიდი ოჯახი“-სათვის თანხის გამოყოფა	2500
სულ ჯამი:				**16099,81**